შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

№3 (9.519)

10 თებერვალი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

ყოველკვირეული გამოცემა

(გა)ყინული საამყარო

უჩვეულო ზამთარი, რომელიც ნოემბერში დაიწყო, თებერვალში განსაკუთრებულად დიდი თოვლითა და დაბალი ტემპერატურით გაგრძელდა. რამდენიმე წლის წინ დაანონსებულმა გლობალურმა დათბობამ ასეთი სიურპრიზი მოუმზადა მსოფლიო მოსახლეობას, დამეთანხმებით, არცთუ სასიამოვნო. დიდთოვლობამ სერიოზული პრობლემები შექმნა საქართველოშიც. გაიყინა მდინარეები, მათ შორის მტკვრისა და არაგვის შესართავი, თბილისის ზღვა და კუს ტბა. დიდი ხანია, ასეთი ყინვა არავის ახსოვს. არც გადაკეტილი კახეთის ცენტრალური მაგისტრალი ახსოვს ვინმეს და არც დათოვლილი ქუჩები, სადაც ტრანსპორტი კანტი-კუნტადღა მოძრაობს... დედოფლისწყაროელებიც აღნიშნავენ, რომ ასეთი დიდი თოვლი 1972 წლის შემდეგ აღარ ახსოვთ. ერთადერთი, ვისაც თოვლის გამო პრობლემები არ შექმნია და მათ გუნება-განწყობაზეც არა თუ ნეგატიური, არამედ პოზიტიური ასახვა ჰპოვა, ბავშვებია. ციგებით დილიდან-დაღამებამდე სრიალებენ და არად დაგიდევენ უფროსების წუხილს და თავისტკივილს, დიდთოვლობამ და უჩვეულო ყინვებმა რომ შეუქმნა. სასწავლო პროცესის შეწყვეტასაც სიხარულით შეხვდნენ. ლოგიკა მარტივია — გართობაში და გარეთ ყოფნაში ხელს აღარავინ და არაფერი შეუშლით, მათ შორის აღარც სკოლა...

საქართველოსთან ერთად გაყინულია მთელი ევროპა.ჰოლანდიაში გაყინული მდინარეები მოსახლეობამ საციგურაო მოედნად აქცია და პრობლემის გადაჭრა ამ ჭრილში გადაწყვიტა. თოვლი მოვიდა იმ ქვეყნებშიც, სადაც ის არასოდეს ყოფილა. აფრიკის კონტინენტზე თეთრი ნალექის მოსვლამ მოსახლეობის გაოცება გამოიწვია.

დიდთოვლობის გამო, პრობლემებია კახეთში. ამ დრომდე გაძნელებულია გურჯაანისა და ახმეტის რაიონის რამდენიმე მაღალმთიან სოფელთან მიმოსვლა. აქ მოძრაობას მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანები ახერხებენ. კახეთის მაღალმთიანეთში ნალექის სიმაღლე 80 სანტიმეტრს აჭარბებს.

გომბორის უღელტეხილზე მოძრაობა მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით არის ნებადართული. რეგიონული განვითარების სამინისტროს საგზაო დეპარტამენტის ჯგუფები ადგილზე 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ.

გზები გაიწმინდა დედოფლისწყაროშიც,სადაც თოვა 9 თებერვალს შეწყდა. როგორც დედოფლისწყაროს შპს „სერვისი-2007“-ის დირექტორმა ილია ტალიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სპეცტექნიკით გაიწმინდა ქალაქ დედოფლისწყაროს, ასევე სოფლების:ხორნაბუჯისა და სამრეკლოს ცენტრალური და გადამკვეთი ქუჩები, დაიყარა ხრეშში არეული ტექნიკური მარილი. დასუფთავების სამსახური მობილიზებულია და დიდთოვლობის შემთხვევაში კვლავაც განაგრძობს დედოფლისწყაროს ქუჩების გაწმენდით სამუშაოებს.

სინოპტიკოსები კი ჯერ დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებენ და ამბობენ,რომ წინ კვლავ გაყინული ზამთარი გველის. ლამაზია, ძალიან ლამაზია თეთრად გადაპენტილი ხეებისა და ყინვის მიერ მოხატული პეიზაჟის ყურება, მაგრამ ... ასეთი პრობლემების ფონზე მელანქოლიურ განწყობას უფრო ბადებს. მით უფრო, როცა გაურკვეველია უსაფრთხო გაზაფხულის ბედი...

ინგა შიოლაშვილი

ფიროსმანის მუზეუმს ახალი მმართველი ჰყავს

თბილისსა და დედოფლისწყაროში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმების მმართველის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები უკვე ცნობილია. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ბრძანების მიხედვით, მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმების მმართველად თბილისსა და მირზაანში ნელი გოგეჯიშვილი დაინიშნა.

ნელი გობეჯიშვილი დედოფლისწყაროს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი გახლდათ. გობეჯიშვილი ათეულობით წელია დედოფლისწყაროში კულტურის სფეროში წამყვან თანამდებობებს იკავებდა. მისი თქმით, ფიროსმანის მუზეუმი შველას ითხოვს, კონკურსში საკუთარი ძალების მოსინჯვა ამიტომაც გადაწყვიტა.

ნელი გოგეჯიშვილი (მუზეუმის მმართველი): „წარმოიდგინეთ, რომ მთელი 2011 წლის განმავლობაში მირზაანის მუზეუმში მხოლოდ 80 ვიზიტორის ბილეთი გაიყიდა, ეს კი კატასტროფულად დაბალი მაჩვენებელია. ჩემთვის ეს მუზეუმი ძალიან მშობლიურია. მისი გახსნის დღიდან ყველაფერში აქტიურად ვიყავი ჩართული. მხოლოდ ბოლო ორ ღონისძიებაზე მივედი სტუმრის სტატუსით, დანარჩენ შემთხვევებში მთლიანად ვიყავი ჩართული. 26 წელია, ამ სფეროში ვტრიალებ. სხვათაშორის, ფიროსმანობის დღესასწაულის სახელწოდებაც ჩემი შერჩეულია. დედოფლისწყაროში, რამდენიმე წლის წინ ფიროსმანის სახელობის სამხატვრო სკოლაც ჩემივე ძალისხმევით გაიხსნა. ვფიქრობ, კონკრეტული შედეგები მალე გამოჩნდება. მუზეუმი ცოცხალი ორგანიზმი უნდა იყოს და სოფელში გამოირჩეოდეს. ფიროსმანის მუზეუმმა მთლიანად სოფელი უნდა გამოაცოცხლოს. სამწუხაროდ ამჟამად ასე არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ მისი გამოცოცხლება სოფელში მიგრაციასაც მნიშვნელოვნად შეაჩერებს, რაც ჩემთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია. გარკვეული პროექტები უკვე არსებობს და ამინდის გაუმჯობესებისთანავე მუშაობა აქტიურად დაიწყება. გული მწყდება, რომ აქამდე მირზაანი და ნიკო ფიროსმანის მუზეუმი ტურისტულ მარშრუტში არ იყო ჩასმული და ამ შესანიშნავი ადგილის არსებობა არც სპეციალურ რუქებზე იყო მითითებული, ეს ყველაფერი კი მმართველს უნდა გაეკეთებინა. ანზორ მაძღარაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ფიროსმანის კვლევის თვალსაზრისით, თუმცა ვთვლი, რომ

(დასასრული მე-3 გვ)

კირქვის კარიერის ზიანის შემცირებისთვის...



გვ. 6

საქართველოს წარმატებული მომავლის გარანტი

გვ.3

სიყვარულის რეკლამა

გვ.5

C M Y K

გუბერნატორი დიდთოვლობასთან დაკავშირებით გამგებლებს შეხვდა

კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი მუნიციპალიტეტების გამგებლებს შეხვდა. შვებულებაში ყოფნის მიუხედავად, შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილიც დაესწრო.

შეხვედრაზე ზამთრის სეზონთან დაკავშირებული კახეთის რეგიონში არსებული და მოსალოდნელი პრობლემები განიხილეს.

დიდთოვლობის გამო კახეთის მხარის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტების მიერ გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ დროისთვის ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები მოხსნილია, საავტომობილო გზებზე გადაადგილება ყველა სახის ტრანსპორტისთვის ნებადართულია და მოძრაობა უსაფრთხოა.

მოსალოდნელი უამინდობის შემთხვევაში, შესაძლო პრობლემების დროული პრევენციის მიზნით, მობილიზებულია სპეციალური ტექნიკა. სხდომაზე აღინიშნა, რომ მაღალმთიან სოფლებში გადაადგილება შესაძლებელია მაღალი გამავლობის მქონე ტრანსპორტით. ასეთი სოფლების მომარაგება მედიკამენტებითა და პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტებით რეგულარულად ხორციელდება.

არსებული ვითარება 8 თებერვალს მთელი დღის მანძილზე ინტენსიური თოვის შედეგად კიდევ უფრო გაუარესდა.

საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლები, ქედების ზონა და ასევე სოფლები- სამთაწყარო, ფიროსმანი და საბათლო გარესამყაროს არის მოწყვეტილი. ჩაკეტილია ასევე კასრისწყალთან მისასვლელი გზაც.

თუმცა, სოფელ სამთაწყაროს რწმუნებული პაატა ნადირაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამტკიცებს, რომ სამთაწყარო-თბილისის გზაზე მოძრაობა რთულად, თუმცა მაინც შესაძლებელია. მისი თქმით, ტრანსპორტი გადაადგილებას სამთაწყარო-არხილოსკალოს გზის საკმაოდ რთულ მონაკვეთზეც ახერხებს.

„ახლა აქ იმხელა თოვლი არ არის, რომ ავტომანქანებს მოძრაობა უჭირდეთ. დღეს არ ვიცი, მაგრამ სამშაბათს ჩვენი სოფლიდან თბილისის მიმართულებით მიკროავტობუსები ნამდვილად გავიდა. რომ ამბობენ ეს სოფლები გარესამყაროს მოსწყდაო, ტყუილია,“ — განმარტავს ნადირაშვილი.

მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ

საქართველოში ძლიერი ყინვის გამო დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

მათი თქმით, ამ შემთხვევაში ჰიპოთერმიის რისკ ჯგუფებს მოხუცები და ბავშვები წარმოადგენენ.

სპეციალისტები მოსახლეობას მოუწოდებენ, ქუჩაში დიდხანს არ გაჩერდნენ, ჩაიცვან თბილად, დაიხურონ ქუდი და ატარონ ხელთათმანები.

,,ჰიპოთერმიისაკენ ძირითადად მიდრეკილნი არიან მოხუცები და ბავშვები. შესაბამისად ამ ასაკობრივ ჯგუფს განსაკუთრებით და ასევე, იმ ადამიანებს, ვისაც აქვს ქრონიკული დაავადებები, ჩვენ მოვუწოდებთ, რომ ფრთხილად იყვნენ, ჩაიცვან თბილად, რათა არ მოხდეს მოყინვა“, — განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი კანდელაკმა.

საგადასახადო კოდექსში ცვლილება შედის

საგადასახადო კოდექსში ახალი ცვლილება შედის. კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის მიწოდებისას პირი დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდება.

„ჩვენი მოსახლეობისთვის მთავარი პრობლემა არის ის, რომ საკვები პროდუქტები საკმაოდ ძვირია. საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ფასების ზრდის ტენდენცია შეჩერდეს. ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების პროდუქტების დღგ-სგან გათავისუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხილი, ძროხის და ღორის ხორცი და მთელი რიგი საკვები პროდუქტები თითქმის 18%-ით გაიაფდება“, - განაცხადა მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა.

საკრებულომ სარეზერვო ფონდიდან გზების გაწმენდისთვის 3000 ლარი გამოყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გზების თოვლისგან და ყინულისგან გაწმენდისათვის 3000 ლარი გამოიყო - ამის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილმა რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 10 თებერვალს ჩატარდა. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ, ასევე, შეიტანა ცვლილებები „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 იანვრის № დადგენილებაში, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ახალი მოადგილის დამატებას სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

აღნიშნულ სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემები. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გზების თოვლისა და ყინულისაგან გაწმენდისათვის გამოიყო 3000 ლარი.

ცხინვალში ვითარება არაპროგნოზირებადია

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის ალა ჯიოევას შტაბი ძალოვანებითაა გარშემორტყმული. საავადმყოფოს, რომელშიც ჯიოევა გადაიყვანეს, დე ფაქტო „ომონისა“ და სახელმწიფო დაცვის 50-მდე წარმომადგენელი იცავს, – იუწყება მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.

როგორც ოსი ჟურნალისტი მარია პლიევა აცხადებს, ცხინვალში არაპროგნოზირებადი სიტუაციაა:

„პირველად ხდება, რომ სამხრეთ ოსეთს კრემლისგან დანიშნული პირი მართავს. ის არის დამნაშავე ალა ჯიოევას შტაბის შტურმით აღებაში. ეს, ფაქტობრივად, ხელისუფლების ძალით შეცვლაა. ალა ჯიოევა ნახევრად პარალიზებულია. რაც შეეხება მოსახლეობას, ვფიქრობ, მასობრივი მღელვარება არ იქნება. თუმცა, ვითარება მაინც არაპროგნოზირებადია”, - აღნიშნა პლიევამ.

ალა ჯიოევას შტაბი ე. წ. სამართალდამცველებმა 9 თებერვალს შტურმით აიღეს. დე ფაქტო პროკურატურის წარმომადგენლები ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შტაბში ადგილობრივი დროით 18:00 საათზე მივიდნენ. ისინი ჯიოევას მოწმის სტატუსით დაკითხვას აპირებდნენ. ჯიოევამ უარი თქვა გაჰყოლოდა გამომძიებელს. ამის შემდეგ მის შტაბში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 15 ნიღბიანი პირი შეიჭრა. დაკავებულია დე ფაქტო პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის რამდენიმე თანამოაზრე.

ალა ჯიოევა შეუძლოდ გახდა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია გადაყვანილი. ექიმების დასკვნით, მან მიკროინსულტი გადაიტანა. ჯიოევას სხეულის მარცხენა მხარე პარალიზებული აქვს.

შეგახსენებთ, 10 თებერვალს, ალა ჯიოევა ცხინვალში საკუთარი ინაუგურაციის გამართვას აპირებდა.

შარშან საქართველოდან 165 ათასი სული ცოცხალი ცხვარი გაიყვანეს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ცოცხალი ცხვრის ექსპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 90 პროცენტით გაიზარდა და 15 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 65 ათასით მეტი ცოცხალი ცხვრის ექსპორტი განხორციელდა და მთლიანობაში 165 ათასი სული შეადგინა.

ცვლილებებია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში

მთავრობის ინიციატივით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები შევა. საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, სამაგისტრო გამოცდებში მოპოვებული ქულები მაგისტრობის კანდიდატს 3 წლის განმავლობაში შეენახება, თუმცა გრანტის მოპოვების მსურველებს ქულების გამოყენება გამოცდების ჩაბარების წელსვე მოუწევთ.

მარტივდება გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების პროცესი. ეს ინფორმაცია აბიტურიენტს შეიძლება მიეწოდოს როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და დოკუმენტს იურიდიული ძალა ექნება.

სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, ცვლილებები შევა პროგრამების აკრედიტაციის წესებშიც.

ინიციატივა საკანონმდებლო ორგანოში უკვე შესულია და მას მიმდინარე კვირაში განიხილავენ.

სკოლის დირექტორების კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყო

საჯარო სკოლის დირექტორების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დღეს დაიწყო. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ელექტრონული Online რეგისტრაცია 9 მარტის ჩათვლით გასტანს.

ელექტრონული რეგისტრაცია პირველად გასულ წელს ჩატარდა.

მიმდინარე წელსაც რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ელექტრონულადაა შესაძლებელი სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.tpdc.ge).

კონკურსში მონაწილეობის მიღება უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია. გამოცდა 2012 წლის აპრილში ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე, დირექტორობის მსურველი გაივლის ინდივიდუალურ ტესტირებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე, დაიშვებიან პირები, რომლებიც გადალახავენ ტესტირებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლა სტუდენტს 50 ლარი დაუჯდება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის საფასური განისაზღვრა. ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლა სტუდენტს 50 ლარი დაუჯდება.

მინისტრის ბრძანების მიხედვით, საფასური გადაიხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე უნაღდო ანგარიშსწორებით.

ბრძანებით განსაზღვრულია საფასურის გადახდისგან გათავისუფლების კრიტერიუმებიც. კერძოდ, ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადასასვლელად სტუდენტი საფასურს არ გადაიხდის იმ შემთხვევაში, თუ მისმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ავტორიზაცია დაკარგა. ასევე, ასეთი საფასურის გადახდისგან თავისუფლდება სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 70 000-ს არ აღემატება.

საქართველოს წარმატებული მომავლის გარანტი

30 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ მიხეილ სააკაშვილს თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში უმასპინძლა. საქართველოს პრეზიდენტი შეხვედრიდან კმაყოფილი გამოვიდა და BBC-ს განუცხადა, რომ შეხვედრამ ორი ქვეყნის ურთიერთობა „ახალ საფეხურზე აიყვანა.“ მან ობამას მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ვაშინგტონი განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ნატოში საბოლოო გაწევრების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელმოწერის შესაძლებლობის მხარდაჭერას. ოპოზიციის ერთმა ნაწილმა შეხვედრის მიღწევები წყალში ჩაყარა. ირაკლი ალასანიას მტკიცებით, ოფიციალურ ვაშინგტონს თავდაცვის სფეროზე ხმაც არ ამოუღია. ამ შეხვედრას რუსეთიც გამოეხმაურა. რუსეთის თავდაცვის უწყებამ განცხადებაც გაავრცელა, სადაც ერთგვარი მუქარაც გაურია: თუ ამერიკა საქართველოს რაიმე ტიპის შეიარაღებას მიაწვდის, ამიერკავკასიის რეგიონში დესტაბილიზაცია დაიწყებაო. შეხვედრას ივანიშვილიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ობამა—სააკაშვილის შეხვედრის შედეგები მომავალშიც სასიკეთოდ აისახება, კერძოდ, იმ პერიოდში, როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვაო. მოკლედ, ამ შეხვედრამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ შეხვედრის შეფასება ვაჟა პაპუაშვილს ვთხოვეთ:

—საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაქ ობამას შეხვედრის შესახებ იმდენი ითქვა და იმდენი კომენტარი გაკეთდა, რომ რაიმე ახლის თქმა პრაქტიკულად შეუძლებელია, ერთი რამ კი ნათელია, რომ შედეგმა აშკარად გადააჭარბა მოლოდინს. ანუ საქართველომ მიიღო ის, რასაც წლების განმავლობაში მოთმინებით ელოდა და რისთვისაც შეუჩერებლად და განსაკუთრებული ძალისხმევით შრომობდა ქვეყნის ხელისუფლება და მმართველობის ყველა სტრუქტურა. შეხვედრაზე აბსოლუტურად ღიად ითქვა და დადასტურდა ის, რაც უნდა თქმულიყო აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან. რაღაც ქვეტექსტების და ფარული აზრების ძიება შეხვედრის შედეგებში გაუმართლებელია და ემსახურება მის გაფერმკრთალებას და გაუბრალოებას.

პირველი და უმთავრესი, რაც თვალშისაცემია, არის ის, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია და მისი პოლიტიკური წრეები საქართველოს უყურებენ, როგორც თანაბარ პარტნიორს, რომელმაც შეძლო გაეტარებინა უმნიშვნელოვანესი და ეფექტური რეფორმები და თავი წარმოაჩინა, როგორც ცივილიზებული სამყაროსთვის ნამდვილმა პარტნიორმა და ბევრი ქვეყნისთვის მისაბაძმა მაგალითმა.

მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველომ მიიღო გარანტიები მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანების საბოლოო და მტკიცე მხარდაჭერისა და აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის საკითხის გადაწყვეტის, რაც მოიზიდავს ქვეყანაში ამერიკულ ბიზნეს წრეებს და ინვესტიციებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმების კურსი იქნება სრულად მხარდაჭერილი და ეს ყველაფერი ძალიან მალე დადებითად აისახება ქვეყნის ყველა მაცხოვრებლის ცხოვრებაზე და ყოფაზე. ამავე დროს ამერიკის მმართველმა წრეებმა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტისაგან გარანტია იმისა, რომ რეფორმების კურსის დინამიკა უფრო გაძლიერდება და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები იქნება შეუქცევადი.

***P.S.** არჩევნების თემას სააკაშვილიც შეეხო. „შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც მალე გაიმართება, ჩვენ გადავდივართ განსხვავებულ საპარლამენტო სისტემაზე, რომელიც უფრო აძლიერებს საპარლამენტო ხელისუფლებას. მომავალ წელს საქართველოში ახალ პრეზიდენტსაც ავირჩევთ. ეს პროცესი ხელს შეუწყობს ჩემი ქვეყნის დემოკრატიულ წინსვლას და ბევრად პლურალისტური და მრავალფეროვანი გარემო გვექნება“— განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ამით ერთგვარად ოპოზიციის იმ ნაწილის ინტერესიც დააკმაყოფილა, რომელთაც შეხვედრიდან გამოსული ობამას სიტყვებმა არაერთგვაროვანი წარმოდგენა შეუქმნა.*

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ფიროსმანის მუზეუმს ახალი მმართველი ჰყავს

(პირველი გვერდიდან)

ბოლო პერიოდში მეტი აქტიურობა იყო საჭირო. მიმაჩნია, რომ სააგენტომ მისი ღვაწლი ამჯერადაც დააფასა. არადა, ტურისტების მოზიდვა პრინციპულად მნიშვნელოვანია. ეს კი მირზაანისთვის ძალზე პერსპექტიულია. მირზაანში ჩასულმა დამთვალიერებელმა მხოლოდ ნახატები არ უნდა ნახოს და უკან არ გაბრუნდეს. ჩვენი მიზანია იქ ისეთი გარემო დახვდეს, რომ ერთი ლამაზი დღე სრულად გაატაროს, ფიროსმანის გენიალური და ორიგინალური ნამუშევრების გარდა დატკბეს ალაზნის ველის და მირზაანის სილამაზით.

ასევე ვაპირებ, რომ თბილისში მოქმედ ყველა იმ ორგანიზაციას დავუკავშირდე, რომლის სახელწოდებაშიც ფიროსმანი ან მირზაანი ფიგურირებს. ცნობილია, რომ ამ მხრივ ბევრი მსხვილი ბიზნესობიექტი ფუნქციონირებს. ვფიქრობ, თითოეულ მათგანთან სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე ინდივიდუალური კონსულტაციები უნდა ვაწარმოოთ. ეს ხელს შეუწყობს როგორც ფიროსმანის შემოქმედების, ასევე სოფელ მირზაანის კიდევ უფრო პოპულარიზაციას. გამოცოცხლება ამ სოფელს ახლა ყველაზე მეტად რომ სჭირდება ესეც ფაქტია. თუ როგორ განვითარდება მუზეუმი. გარკვეული პროექტები უკვე არსებობს, სავარაუდოდ, მალე უნდა მოგვარდეს მუზეუმამდე მისასვლელი გზების საკითხიც. ახლახან, ტურიზმის დეპარტამენტმა თელავში, კახეთის რეგიონის მასშტაბით ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ადამიანებთან შეხვედრა გამართა, სადაც მეც მივიღე მონაწილეობა. ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო და თანამშრომლობის გზები დაისახა. რაც მთავარია, ძალიან დიდ იმედს ვამყარებ, როგორც კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობაზე, ისე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების თანადგომასა და დახმარების იმედი მაქვს. მარტო მმართველი ვერაფრის შეცვლას ვერ შეძლებს, თუკი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალისხმევა და თანამშრომლობა არ იქნება. მნიშვნელოვანია, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დაინტერესებას უკვე ვგრძნობ. აშკარაა, რომ მათ სურთ ამ შესანიშნავი ადგილის კიდევ

უფრო გაპიარება და მისი მაქსიმალურად სასიკეთოდ გამოყენება. არ მეგონა, თუ ამდენი ადამიანი გულშემატკივრობდა ფიროსმანის მუზეუმს და ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამდენს სურდა ცვლილებები მირზაანში. აშკარაა, რომ ფიროსმანი დედოფლისწყაროში დღეს ბევრს სტკივა. ამ დღეებში იმდენი რიგითი ადამიანის თანადგომა ვიგრძენი, ეს ყველაფერი საოცარ სტიმულს მაძლევს,“ — აცხადებს ნელი გობეჯიშვილი.

მმართველის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა ასევე მუზეუმის ყოფილი ხელმძღვანელი, ფიროსმანის მკვლევარი ანზორ მაძღარაშვილი. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, ანზორ მაძღარაშვილი მუზეუმის შემადგენლობაში აღარ ირიცხება, თუმცა ის მუშობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში ფიროსმანის შემოქმედების მკვლევარის პოზიციაზე გააგრძელებს.

გაზეთი „შირაქი“ თავად ანზორ მაძღარაშვილის პოზიციითაც დაინტერესდა და მუზეუმის ამჟამად უკვე ყოფილ დირექტორს კომენტარი სთხოვა.

„შედეგით კმაყოფილი რანაირად უნდა ვიყო, ეს ყველაფერი ჩემზე არ იყო დამოკიდებული, როგორც გადაწყვიტეს ისე მოხდა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, ჩემი გათავისუფლება ჩემს მიერ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს უკავშირდება თუ არა. მე ვალდებული ვიყავი, მუზეუმი დამეცვა და ხმა ამომეღო. სააგენტოში ვრჩები სამუშაოდ, მთავარ ექსპერტად დამნიშნეს და სამეცნიერო საქმეებს ვუხელმძღვანელებ. თამამად ვამბობდი, რომ რამდენიმე წელია ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზა დაზიანებულია. მუზეუმში შემოვლითი გზით დავდივართ, ტურისტები კი აღარ მოდიან. ფიროსმანი ერთლარიანზე იყო გამოსახული და ისიც კი ამოიღეს ხმარებიდან. საქართველო ფიროსმანის ღირსი არ არისო, სწორედ ამიტომაც ვთქვი. ჯერჯერობით სააგენტოში ვრჩები. თუმცა, სამსახურს ვეძებ და თუ რაიმე სამსახური ვიშოვე, ალბათ, სააგენტოდან წავალ...,“ — აცხადებს ანზორ მაძღარაშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ახლახან გამოცხადებული კონკურსის შედეგად, ფიროსმანის მუზეუმის შემადგენლობის ნაწილი ახალი კადრებით დაკომპლექტდა, ნაწილი კი კვლავაც ყოფილი თანამშრომლებით შეივსო.

ილია მარტყოფლიშვილი

ჯანსაღი ცხოვრების წესი

20 წლის გიორგი ცისკარაული დედოფლისწყაროში ცხოვრობს. უკვე მერამდენე თვეა, დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციაში სპორტსმენებს წვრთნის. ამბობს, რომ სპორტი მისთვის ყველაფერია, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სპორტული მიღწევებისადმი სიყვარული თამაზ ყარაგვეზაშვილმა ჩაუნერგა. ასაკთან შედარებით მიღწევებიც ბევრი აქვს. გიორგი ცისკარაული კახეთის ჩემპიონი და საქართველოს ჩემპიონია. სპორტის გარდა მას სხვა საინტერესო გეგმებიც აქვს. თუმცა, გაზეთი „შირაქი“ მასთან მხოლოდ პროფესიული კითხვებით არ შემოიფარგლა და მისი სხვადასხვა მოსაზრებებითაც დაინტერესდა. გულწრფელი პასუხებიც მრავლად მივიღეთ. რაც მთავარია, ცხოვრების თანამგზავრი ჯერ არ აურჩევია და თვლის, რომ არასასურველი სასიძო არ უნდა იყოს...

— სპორტი შენი ძირითადი მიზანი და საქმიანობაა, თუ სხვა ჰობიც გაქვს?

— ამჟამად სპორტი ჩემი ძირითადი საქმიანობაა. თუმცა, საერთოდ ბევრი ჰობი მაქვს...

— რა ასაკიდან გაგიტაცა სპორტმა?

— სპორტი პატარაობიდანვე მაინტერესებდა. ჯერ კარატეზე დავდიოდი, მაგრამ მერე სექცია დაიხურა და მეც დავრჩი ასე... შემდეგ გავიგე, რომ კიკ-ბოქსინგის ჯგუფი იყო რაიონში და 15 წლისამ ვარჯიში დავიწყე თამაზ ყარაგვეზაშვილთან, მან უკეთ ჩამინერგა სპორტის სიყვარული. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს სპორტულ განვითარებაში.

პირველად ვარჯიში რომ დავიწყე, ჩემი ერთადერთი ოცნება იყო საქართველოს ჩემპიონი გავმხდარიყავი და სანამ არ მივაღწიე არ მოვისვენე...

— როდის და როგორ მიაღწიე, რა ემოციები იყო ამ დროს?

პირველად შეჯიბრზე ბათუმში ვიყავი, სადაც დავმარცხდი. ამან მიმახვედრა, რომ არ ვიყავი სათანადოდ მომზადებული, ამის შემდეგ ძალიან მონდომებული ვიყავი. ბევრი ვარჯიშის და ტექნიკის დამუშავების შემდეგ (რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თამაზ ყარაგვეზაშვილს) 2009 წელს საქართველოს ჩემპიონატზე გავედი თბილისში, სადაც სრული უპირატესობით მოვიგე საქართველოს ჩემპიონატი ხელჩართულ ბრძოლებში.

— პირველი მეტოქე როგორ გახსოვს?

— კარგი მებრძოლი იყო და სამართლიანად გაიმარჯვა. პირველად რინგზე რომ გადავედი, ძალიან დავიბენი. გარედან ადვილი საყურებელი და განსასჯელი რომ ჩანს, თურმე ასე ადვილი არ ყოფილა იქ დგომა და ბრძოლა. პირველად სერიოზულად, მთელი სიძულვილით რომ ჩაგხედავენ თვალებში და რამდენიმე დარტყმას მიიღებ, ხვდები რომ რკინის არ ყოფილხარ და სანამ ამ ვითარებამდე არ მიხვალ ისე ვერ აცნობიერებ ამ შრომის ფასს.

— ანუ რინგზე შეგშინებია?...

— შიშით არა, მაგრამ რინგზე გასვლის წინ ყოველთვის არის რაღაც ნერვიულობის მაგვარი რამ... ელოდები როდის გამოგაცხადებენ, მხოლოდ იმას ელი შენი ჯერი მალე მოვიდეს... წაგებებიც მქონია, მაგრამ არ მიფიქრია წავაგებ მეთქი. თუ იცი, რომ შენზე ძლიერი მოწინააღმდეგე გყავს, არ უნდა დანებდე და რინგზე მაინც გადახვიდე, თუნდაც იცოდე, რომ წააგებ... ეგ შეიძლება ისე იფიქრო, მაგრამ მაინც უნდა ეცადო შენსას. თუ ევროპის, ან მსოფლიო ჩემპიონს ხვდები — როგორ არ უნდა იფიქრო წაგებაზეც... ერთხელ, როცა შავი ზღვის თასზე ევროპის ჩემპიონს გურამ ქუთათელაძეს ვხვდებოდი კლუბ **golden gloriy**-დან, საკმაოდ დავიძაბე და მართლა გახვიცადე...

— რა დროს უთმობ სპორტს შენს ცხოვრებაში?

— სპორტი ჩემს ცხოვრებაში მართლაც უმნიშვნელოვანესია. თითქმის სულ სპორტზე ვარ გადართული... დროის 70%-ს სპორტს ვუთმობ, დანარჩენს კი სხვა საქმეების მოგვარებას ვახმარ.

— სპორტსმენები მანდილოსნების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევით... თუ გრძნობ ზედმეტ ყურადღებას, ანუ სპორტსმენობა გმატებს თუ არა თაყვანისმცემლებს?

— არა, ასე არაა, ვფიქრობ, რომ პირიქით... გოგოებს რატომღაც სუსტი, გამხდარი ბიჭები მოწონთ. ზოგს კი მაგრამ ჩემი აზრით უმეტესობას გამხდარი ბიჭები ურჩევნია...

— სერიოზული სიყვარული თუ გქონია ცხოვრებაში?...

— არა, სერიოზულად არავინ შემყვარებია... გატაცებები კი იყო ბევრი...

— ალბათ წუნია ხარ, თუ სერიოზული გრძნობა რატომ ვერ გეწვია?...

—შესაძლოა...

— როგორ ფიქრობ, დედოფლისწყაროელ სიმპათიურ და სასურველ სასიძოებს შორის გიორგი ცისკარაულიც შედის თუ არა?

— არ ვიცი, ასეთ რამეზე არ ვფიქრობ... თუმცა, მგონი არც არასასურველი იქნება... რა ვიცი მგონია, რომ ვიღაც მაწანწალა და ცუდი ადამიანი არა ვარ. არც ლოთი და ხელიდან წასული...

— ალბათ არ ეწევი?

—არა და არც ვსვამ... ალკოჰოლური სასმლის სუნს საერთოდ ვერ ვიტან...

— ანუ, არ მოგიწევია?

— არა...

— აბა ალკოჰოლის გარეშე მეგობრებთან ქეიფი როგორ გამოგდის?...

— მხოლოდ ლუდს ვსვამ, ისიც ცოტას... მშვენივრად გამომდის. მოლხენისთვის აუცილებელი არაა მთვრალი იყო...

— ეგ ცხადია, მაგრამ ყველა რომ სვამს და მხოლოდ შენ არა, თავს რითი იმართლებ?

— არაფრით, ასეთ წრეში მართტო მე არ ვარ... სამეგობროში თითქმის სულ სპრტსმენები ვართ და ბევრია ჩემნაირი... ერთმანეთს ადვილად ვუგებთ და გვესმის რატომ არ უნდა დავლიოთ...

— ანუ, არც თამადა გემუქრება ღვინის კისერში ჩასხმით? ნუთუ არ გაძალებს ჭიქის ბოლომდე გამოცლას...

— თუ რამე არ მინდა, ვერც ვერავინ გამაკეთებინებს...

— მოკლედ, არ სვამ იმიტომ, რომ სასმელი არ მოგწონს, თუ იმიტომ, რომ ალკოჰოლი სპორტსმენს ვნებს?

— იმიტომ, რომ უბრალოდ არ მიყვარს... ერთხელ ცუდად გავხდი და მას მერე არ ვსვამ... სპორტი ყველაფერზე ძალიან მიყვარს...

— სხვა „საკაიფო“ მოსაწევებიც არ გაგისინჯია?

— არა, ასეთები ჩემგან შორს...

— მოდი, გულწრფელად თქვი, ნუთუ, არც გასინჯვის სურვილი გქონია?

— არა, მეზიზღება... ისეთ რამეს არასოდეს გავაკეთებ, რომ ჩემი თავის კონტროლი დავკარგო...

— ანუ არც ისე დამთვრალხარ, რომ თავისუფალ ხასიათზე დამდგარიყავი და ცოტა მაინც დაგეკარგა კონტროლი?

— ერთხელ ბევრი დავლიე და მივხვდი რომ ცუდი გრძნობაა და თვითკონტროლი ნაკლები იყო... მას მერე აღარ ვსვამ.

— ადამიანში პირველ რიგში რას აფასებ?

— ერთგულებას და შეგნებას...

— პირველ რიგში რამ უნდა მიგიზიდოს, ჯერ გარეგნულმა, თუ შინაგანმა სილამაზემ?

— შინაგანს ვაფასებ, შემდეგ ერთგულება. დანარჩენი არ მაინტერესებს.

— რამდენად გიყვარს იუმორი, ხშირად ხუმრობ მეგობრებთან ან გარშემომყოფებთან?

— კი იუმორი მიყვარს. სულ ვხუმრობთ და სულ ასე ვართ.

— შენი შეფასებით ხალისიანი ადამიანი ხარ, თუ უფრო სერიოზული?

—ცოტ-ცოტა ორივე... გააჩნია სუტუაციას...

— რა გაღიზიანებს, როდის ბრაზდები?

— როდესაც ჩემმიმართ ან ჩემი ახლობლების მიმართ ვინმე არასამართლიანად იქცევა.

— ჰობიდან გამომდინარე გაბრაზებული დაუნდობელი ხარ?

— კი, ძალიან დაუნდობელი ვხდები, როდესაც ვინმე მაბრაზებს...

— ადვილად პატიობ?...

— თუ ადამიანი ხვდება თავის საქციელს მაშინ კი...

— საინტერესოა, რას ფიქრობ — უნდა იყოს თუ არა საქართველოში სექსი ლეგალიზებული?

— არა.. ამაზე არ მიფიქრია, თუმცა ლეგალიზების მომხრე არ ვარ...

— ქორწინებამდე სექსი თუა შენთვის მისაღები?

— არა, გოგოს, რომელიც ქორწინებამდე სექსზე თანახმაა — მეძავად აღვიქვამ...

— ლეგალიზებას რატომ ეწინააღმდეგები, დავიჯერო, ერთხელაც არ მოხვედრილხარ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან?

— კი, მაგრამ რატომღაც ასე ვფიქრობ...

— დედოფლისწყაროში ისეთი ვინმე თუ გეგულება, მისდამი სხვანაირი სიმპათიები რომ გქონდეს?

— კი, არის ერთი... თუმცა მასზე არ ვისაუბრებ.

— პატარა ასაკში ქორწინება რამდენად სერიოზულად მიგაჩნია?

— არა... ნამდვილად არასერიოზულია, სანამ 18 წელს მაინც არ გადაცდები... პატარა ასაკში სერიოზულად იშვიათად უყვართ და ასეთი ოჯახები ძალიან მალე ინგრევა. მე ალბათ 23 - 24 წლის ასაკში დავქორწინდები.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

და ბრძოლა მწვერვალებისკენ

პირველობა ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში

ქალაქ რუსთავში ჩატარდა ქართლ-კახეთის პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1993-95 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრში მონაწილეობდა სოფელ ზემო მაჩხაანის მოჭიდავეთა გუნდი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში წვრთნის და წარმატებულ შედეგებს აღწევს საქართველოს დამსახურებული მუშაკი ***ვაჟა მოსულიშვილი.***

ამჯერად ზემომაჩხაანელი მოჭიდავეები მესამე ადგილს დასჯერდნენ. ესენი არიან: ***შალვა ლეკიაშვილი*** 65 კგ წონით კატეგორიაში და ***მიხეილ ჩიბუხაშვილი*** 75 კგ წონით კატეგორიაში. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფინალურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში

* * *

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა კახეთის რეგიონალური პირველობა ძიუდოში. ბრძოლა ორ ასაკობრივ ჯგუფში — 1993-1995 და 1996-1998 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის წარიმართა. ამ შეჯიბრში ასევე ჩაერთნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. საპრიზო სამეულში გასული ძიუდოისტები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფინალურ პირველობაზე.

ზონალურ შეჯიბრში დედოფლისწყაროდან 30 ძიუდოისტი მონაწილეობდა. გუნდები მოამზადეს საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მუშაკებმა ვაჟა მოსულიშვილმა და საქართველოს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ***კახა წიკლაურმა***. შეჯიბრი დედოფლისწყაროელებმა ასეთი შედეგებით დაასრულეს:

1993-1995 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: II ადგილი დაიკავეს: ***ბექა ნათათარაშვილმა*** (55 კგ.წ.კ), ***შალვა ბუნტურმა*** (55 კგ. წ.კ), ხოლო III ადგილი წილად ხვდა ***ბაჩო ჭიკაიძეს*** (60 კგ.წ.კ).

1996-1998 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შემდეგი საპრიზო ადგილები ხვდათ წილად: II საპრიზო ადგილი დაიკავა ***შალვა ლეკიაშვილმა*** (66კგ.წ.კ), III ადგილი დაიკავეს ***გიორგი ხუციშვილმა*** (50 კგ.წ.კ), ***ზაზა ბუქურმა*** (50 კგ.წ.კ), ***გიორგი ზარაფიშვილმა*** (55 კგ.წ.კ), ბაჩო ჭიკაიძემ (60კგ.წ.კ), ***გიორგი ზაქაიძემ*** (60 კგ.წ.კ), ***მიშიკო ჩიბუხაშვილმა*** (73 კგ.წ.კ) და ***დიმა ნადირაშვილმა*** (81 კგ.წ.კ)

ყველა ეს სპორტსმენი თავის შესაძლებლობებს საქართველოს ფინალურ პირველობაზე კიდევ ერთხელ გამოსცდის.

თენგიზ გუმაშვილი,
დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი.

სიახლე

შეიქმნა ალტერნატიული აუდიტი

ბოლო წლებში სახელმწიფო გადასახადების ლიბერალიზაციის მიზნით ქვეყანაში სხვადასხვა სიახლე ინერგება. ეს სიახლეები აუდიტორულ საქმიანობასაც შეეხო. არსებობს ორი კატეგორიის აუდიტორული მომსახურება: სახელმწიფო და ალტერნატიული. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში შექმნილია აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ორგანიზებას უწევს საგადასახადო აუდიტორულ საქმიანობას, მაგრამ, მეწარმეთათვის აუდიტორული მომსახურების გაიოლების და შეღავათების და ამ სფეროში მოქალაქეთა დასაქმების მიზნით მთავრობამ გადაწყვიტა ალტერნატიული აუდიტის შექმნა. ეს გულისხმობს: თუ მეწარმეს დაენიშნა საგადასახადო შემოწმების აუცილებლობა, მას შეუძლია მიმართოს როგორც სახელმწიფო , ასევე ალტერნატიულ აუდიტორს, რომელთა უფლებები და მოვალეობები გათანაბრებულია. პერიფერიებში მცხოვრებთათვის უფრო მოსახერხებელია მიმართონ ალტერნატიულ აუდიტორს. აქ საჭიროა, ხაზი გაესვას ერთ მეტად მნიშვნელოვან სხვაობასაც: თუ სახელმწიფო აუდიტის დროს აღმოჩენილი საგადასახადო ფინანსური დარღვევა ითვალისწინებს ჯარიმას, ალტერნატიული აუდიტის მიერ შემოწმების შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს, ჯარიმის გარეშე გაასწოროს დარღვევა. სწორედ ჯარიმებისა და საურავების თავიდან აცილების მიზნით, მეწარმეთა ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნა ეს სამსახური მთავრობამ, რადგან ხშირად ჯარიმები და დარიცხული საურავები უფრო მაღალია, ვიდრე ბიუჯეტში გადასახდელი ძირითადი თანხები.

იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს აუდიტის დეპარტამენტიდან მოუვიდა შეტყობინება (ბრძანება) საგადასახადო შემოწმების ჩატარების თაობაზე, მან სასურველი აუდიტორის შესახებ ინფორმაცია შეუძლია მიიღოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე **www.rs.ge**-ზე, სადაც განთავსებულია ალტერნატიული აუდიტორების სია, რომლებიც შეირჩნენ ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. ჩვენი რაიონიდან ალტერნატიულ აუდიტორთა სიაში შეყვანილია შპს „ლაშარი +“-ის დირექტორი გენადი ზიოლაშვილი, რომელსაც შეუძლია მიაკითხოს ნებისმიერმა მეწარმემ. ბატონი გენადი, ათეული წლებია, საგადასახადო სისტემაში მუშაობს და, როგორც იტყვიან, ხუთი თითივით იცის ყველა საგადასახადო საკითხი, მასში მიმდინარე ცვლილებები. ამიტომაა, რომ შპს „ლაშარი +“-ში სულ ხალხმრავლობაა. აქ დასაქმებული კადრი მაღალკვალიფიციურ მომსახურებას უწევს რაიონის მოსახლეობას და ნდობის მაღალი კოეფიციენტით სარგებლობს. ეს სიახლე - ალტერნატიული აუდიტორის ფუნქციის მინიჭება, მოსახერხებელია ჩვენი რაიონის მეწარმეთათვის.

ნაირა გორაშვილი

სიყვარულის რეკლამა

პირველი, რაც თვალში მომხვდა ევროპაში ყოფნისას, ესაა ხელიხელჩაკიდებული წყვილები. ასე დადიან პარიზშიც - პლას პიგალზე, ლონდონშიც - ტრაფალგარ სკვერზე და აღმოსავლეთ ევროპაშიც - ზლატა პრაგაშიც. ასე სეირნობენ არა მხოლოდ ახალგაზრდა, არამედ ხანშიშესული წყვილებიც.

ხელიხელჩაკიდებული წყვილი ერთმანეთს თვალებში რომ შესცინცინებს, ესაა სიყვარულის სიმბოლო. ასე ვიცით და ასე გვახსოვს. ვიცით - იმიტომ რომ ასე იყო ჩვენთანაც, და გვახსოვს - იმიტომ, რომ ასეთ წყვილს ჩვენს ქუჩებში თითქმის ვეღარ ნახავთ, ვერც ახალგაზრდას და ვერც უფროს თაობას. დარწმუნებული ვარ, ბევრი ქართველი ქალი ინატრებდა სიყვარულის გამოხატვის ასეთ მიღებულ ფორმას, რომელიც თავის თავში მოიცავს რომანტიულ შინაარსსაც - მე შენ მიყვარხარ და ჩვენ ერთად ვართ.

სამწუხაროდ სიყვარულის ახსნისა თუ გამოხატვის ეს ფორმა ჩვენში იგვიანებს, სამაგიეროდ სხვა სიმბოლო მკვიდრდება , მაგალითად - ვალენტინობა. ესეც წმინდა ევროპული სიმბოლოა, რომელიც ყოველ წელს 14 თებერვალს აღინიშნება. ქართველი ახალგაზრდებიც აღნიშნავენ ამ დღეს, თუმცა არანაირი სტატისტიკა არ არსებობს, თუ საზოგადოების რა ნაწილი აღნიშნავს და როგორ. თანამედროვე საზოგადოება სიყვარულისა და ადამიანური სითბოს მწვავე დეფიციტს განიცდის და გასაკვირი არ არის, თუ ვინმე სიყვარულის დღეს აღნიშნავს, მითუმეტეს, თუ ამ დღეს დაუთქვავ!

წმინდა ვალენტინი, რომლის სახელიც ეწოდება 14 თებერვალს, ჩვენი წელთაღრიცხვით მე -3 საუკუნეში ცხოვრობდა რომის იმპერიაში, იტალიურ ქალაქ ტერნიში და ქრისტიანი გახლდათ. იმ დროს მაშინდელი რომის იმპერატორი ქრისტიანებს და ქრისტიანობას დევნიდა. ეპისკოპოსმა ვალენტინმა სიბრმავისაგან განკურნა არტერიუსის ქალიშვილი, რის შემდეგაც ამ ოჯახმა პატივისცემისა და მადლიერების გამო ქრისტიანობა მიიღო. ამან იმპერატორის რისხვა გამოიწვია და ვალენტინს თავი მოჰკვეთეს.

როგორც არაერთხელ მომხდარა, ამ შემხვევაშიც, რელიგიური ტრადიციები ხალხურს შეერწყა. სწორედ იმ დღეებში, როცა ვალენტინს თავი მოჰკვეთეს, რომის იმპერიაში აღინიშნებოდა ერთ - ერთი ქალღმერთის იუნონას დღესასწაული, რომელიც შეყვარებულთა მფარველად იყო აღიარებული. ეს იყო ტრადიცია, შეყვარებულებს ერთმანეთისთვის ეჩუქნათ წერილები შეყვარებულთა სახელებით, რითაც შეყვარებულთა საიდუმლოს ამჟღავნებდნენ. ქრისტიანებმა მოირგეს ეს დღესასწაული და შეცვალეს შეყვარებულთა სახელები წმინდანთა სახელებით.

ასე,თავიანთთვის(ქრისტიანებისთვის), ხალხისთვის და ეკლესიისთვის მოულოდნელად, ვალენტინი გახდა შეყვარებულთა მფარველი..

აი, ეს გახლავთ, ერთგვარად უტრირებული სახით, სიყვარულის დღე, რომელსაც მთელი მსოფლიო 14 თებერვალს აღნიშნავს.

ვაჩუქოთ თუ არა ერთმანეთს საჩუქრები, ან ქალბატონებს - ყვავილები თუ ტკბილეული წმინდა ვალენტინის დღეს და საერთოდ როგორ მოვიქცეთ, ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. მართმადიდებლური ეკლესია მას, როგორც დღესასწაულს, არ ცნობს, ხოლო კათოლიკურ ეკლესიაში წმინდა ვალენტინის ხსოვნის დღის აღნიშვნა სასურველია და არა აუცილებელი.

ცუდი ისაა, რომ დღეისათვის 14 თებერვალი მარკეტოლოგებმა დაიპყრეს. უყიდეთ თქვენს ქალბატონს ბრილიანტი, თქვენს მამაკაცს - საათი როლექსი, გაისმის გაუთავებელი რეკლამა დასვლეთში. აშშ - ში შარშან ამ დღეს წუთში ერთი ვარდი იყიდებოდა. იყიდება მილიონობით დოლარის ღირებულების ატრიბუტიკა, წითელი და მეწამული გულები, სუვენირები, ღია ბარათები. თაიგულის თუ ტკბილეულის მსოფლიო ინდუსტრიამ ქრისტიანი წამებულის აღნიშვნის თარიღიდან ეს დღე კიდევ ერთ კომერციულ, თავისი საქონლის სარეკლამო კამპანიის დღედ აქცია.

სიყვარული და კომერცია კი სხვადასხვა პოლუსია.

მიხეილ მღებრიშვილი

თურქეთის ახალი კანონი-ქართველი უმუშევრების ზრდა?!

სამუშაოს მძებნელთაგან თურქეთში ამიერიდან მხოლოდ ძიძებსა და მოგვლელებს გაუმართლებთ. 1 თებერვლიდან ძალაში შევიდა ცვლილებები „თურქეთში ყოფნისა და მოგზაურობის წესებში“, რომელთა მიხედვითაც, უცხო ქვეყნის მოქალაქე თურქეთში უვიზოდ სამ თვეზე მეტხანს ვერ დარჩება. 90 დღის გასვლის შემდეგ პირი ვალდებულია, დატოვოს ქვეყანა და უკან მხოლოდ 90 დღის შემდეგ დაბრუნდეს.

თურქეთში საქართველოს მოქალაქეებს აქამდე, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი ვადით შეეძლოთ დარჩენა. სამი თვის გასვლის შემდეგ ისინი ფორმალურად კვეთდნენ საქართველო-თურქეთის საზღვარს და მეორე დღესვე უკან ბრუნდებოდნენ. 2012 წლის 1 თებერვლიდან კი პირი, რომელიც სამი თვის გასვლის შემდეგ თურქეთის ტერიტორიას, სულ ცოტა, სამი თვით არ დატოვებს, დეპორტაციას დაექვემდებარება. ბათუმში თურქეთის კონსულ ენგინ არიქანის თქმით კი, სამ თვეზე მეტი ხნით თურქეთში გაჩერების უფლება ექნებათ მხოლოდ მათ, ვინც სამუშაო ვიზას ან ბინადრობის უფლებას მიიღებს. „ვფიქრობ, გაიზრდება იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც სამუშაო ვიზას ითხოვენ. ბოლო დრომდე ასეთი მოთხოვნები არ ყოფილა.“

საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ცვლილება ჩვენს ქვეყანას არ შეეხებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, კანონმა ამჯერად ყველასთვის „იკანონა“. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ გამონაკლისი ამ მხრივ მხოლოდ აზერბაიჯანი აღმოჩნდა. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, აზერბაიჯანი ევროპისთვის ენერგომატარებელი ქვეყანაა, მისი ნედლეული თურქეთის გავლით გადის. ამიტომ თურქეთი ცდილობს, არ გააღიზიანოს ის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის მეჯლისმა 2011 წლის საქართველო-თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულება დაარღვია და სავიზო რეჟიმის გამკაცრება ჩვენს ქვეყანასაც შეეხო. არადა, ეს ცვლილება ამავე საკითხზე გაფორმებული შეთანხმების პირობებს არ პასუხობს.

სავიზო სიახლე საქართველოში ბევრისთვის დაუკავშირდება გართულებებს. მაგალითად, რეგიონებიდან - გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, აჭარიდან - ძალიან პოპულარული იყო სეზონურად თურქეთში თხილის ან ჩაის პლანტაციებში მუშაობა. ბევრი დედოფლისწყაროელი გამარტივებული სავიზო რეჟიმის წყალობით იოლად გადიოდა თურქეთში და სამუშაოსაც შოულობდა. მათი უმრავლესობა ოჯახში შინამოსამსახურედ ან მინი- ქარხნებში მუშახელად მუშაობდა. ამ გზით ისინი ოჯახებს არჩენდნენ. ახალი კანონის „წყალობით“ კი ეს მიმართულება შეიზღუდება და ადამიანები დაკარგავენ შესაძლებლობას, ვალუტა შემოიტანონ ქვეყანაში. თვითდასაქმების ეს გზა მათთვის მოჭრილი იქნება და ეს ხალხი უმუშევრების არმიას შეემატება.

ადამიანები ტურისტული ვიზით ჩადიოდნენ თურქეთში, მაგრამ შემდეგ მუშაობას იწყებდნენ. ამის გამო პრობლემები ექმნებოდათ და მათი დეპორტაციაც ხდებოდა. ვისაც თურქეთში მუშაობა სურს, ოფიციალური რეგისტრაცია უნდა გაიაროს“, - განმარტავს კონსული. უცხო ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს რეგისტრაციის გავლას თურქეთის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ფარუქ ჩელიქიც ურჩევს. მინისტრის თქმით, მას, ვისაც ექვსთვიანი ან უფრო ხანგრძლივი ვიზა აქვს, შრომითი შეთავაზება შეუძლია შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში მიიღოს, ხოლო განსაკუთრებული შეღავათით ძიძები

ქეებს თურქეთში სამუშაო ვიზის მოსაპოვებლად $130-ის გადახდა მოუწევთ. თუმცა მანამდე მთელი რიგი პროცედურების გავლაა საჭირო, რასაც დაახლოებით ერთი თვე სჭირდება. საკონსულოში განმარტეს, რომ თურქეთში დასაქმების მსურველებმა უნდა მიმართონ ანკარაში შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, შეავსონ სპეციალური ანკეტა, რომლის შემდეგაც საიდენტიფიკაციო ნომერი მიენიჭებათ. სამუშაოსთან დაკავშირებით დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, თურქეთში დასაქმების მსურველები ოფიციალურად აიღებენ ბინადრობის უფლებასაც. თუმცა ნებართვა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმოქმედებს. ერთი წლის შემდეგ იმავე პროცედურების გავლა და ახალი სამუშაო ვიზისთვის კვლავ $130-ის გადახდა იქნება სავალდებულო.

სამწუხაროდ, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რამდენი ქართველი მუშაობს დღეს თურქეთის ტერიტორიაზე, რადგან არაფორმალურ ბაზარზე დასაქმებული ადამიანების აღრიცხვა ფაქტობრივად შეუძლებელია. თუმცა ზოგიერთი მონაცემით, საქართველოს დასავლეთ რეგიონებიდან თურქეთში სამუშაო მიგრანტთა რაოდენობა 100 ათასამდე ადამიანს შეადგენდა. თურქეთში მცხოვრები ქართველების ინფორმაციით, დასაქმების მსურველთა რიცხვი იქ სეზონურად იზრდება. ქართველები თურქეთში, ძირითადად, ზაფხულში ჩაის ან თხილის მოსაკრეფად ჩადიან. თუმცა, ისეთი შემთხვევებიც ხშირი იყო, როცა წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, ადგილზე ჩასული ქართველები სამსახურს მაინც ვერ შოულობდნენ, ან მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, გაუსაძლის სამუშაო პირობებზე უწევდათ დათანხმება.

თურქეთში წასულთაგან ბევრია ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთა ძიძობა და მომვლელობა ძნელად წარმოსადგენია. ისინი უცხო ქვეყანაში იმიტომ წავიდნენ, რომ საქართველოში სამუშაო არ ჰქონდათ. ცხადია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც აქ სამსახურს არავინ შესთავაზებთ.

ექსპერტთა მოსაზრებებით, დასაქმების მსურველებისთვის შეზღუდვები, რომელიც შემოიღო თურქეთის მთავრობამ, რა თქმა უნდა, მათი იქ ყოფნისა და მუშაობის პირობების გაუარესებაა. ქართველები თურქეთში ისედაც ყველაზე არაკომფორტულად გრძნობენ თავს იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც კი ჩვენი ემიგრანტები სამუშაოდ არიან წასული. გარდა ამისა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან გახშირდა ქართველების მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული... საბოლოოდ, თურქეთმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. სამი-ოთხი წლის წინ თურქეთიდან ფულადი გზავნილები სამეულსა და ოთხეულში შედიოდა, 2011 წელს მეშვიდე ადგილზე იყო და, 2010 წელთან შედარებით, 18%-ით იყო შემცირებული. ლაპარაკია დაახლოებით $28 მილიონზე, მაშინ, როცა 2010 წლის მაჩვენებელი $34 მილიონია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეზღუდვების შემდეგ, ციფრი კიდევ უფრო შემცირდება. თურქეთში წამსვლელთა რიცხვის ზრდა ლიბერალური ურთიერთობების შედეგი იყო, აგრეთვე მიმოსვლის გეოგრაფიული სიადვილისაც. რაც უფრო გართულდება ქართველებისთვის თურქეთში მუშაობის პირობები, მით უფრო ნაკლებ ადამიანს ექნება იქ წასვლის სურვილი და ალტერნატიულ ქვეყანას დაუწყებენ ძებნას, სადაც უფრო ადვილად შეძლებენ მუშაობის დაწყებას. არის ქვეყნები, მაგალითად საბერძნეთი, უკრაინა, ყაზახეთი, სადაც საკმაოდ მზარდია მიგრანტების სტატისტიკა, ჩანს, სად იზრდება ქართველი მიგრანტების რიცხვი და სად არის შემცირებული. ყაზახეთი ამ მხრივ ერთ-ერთი მზარდი ქვეყანაა. საბერძნეთსა და იტალიიდან, კრიზისის მიუხედავად, გზავნილები 40%-ით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით.

რაც შეეხება ბიზნესს, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობებში, არ მგონია იმპორტიორებს რამე შეეხოთ და დამატებითი რეგულაციები შემოვიდეს. ჩვენს მეზობელ ქვეყანას იაფი მუშახელის საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს. მაგალითად, ბალკანეთის ქვეყნებიდან, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ძალიან ბევრია თურქეთში დასაქმების მსურველი.

კირქვის კარიერის ზიანის შემცირებისთვის...

კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი" საქართველოში უპრეცედენტო პროექტის განხორციელებას იწყებს. როგორც სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ"-ში გამართულ პრეზენტაციაზე, კომპანიის მენეჯმენტმა განაცხადა, საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო - საგანმანათლებლო კონკურსის „Quarry Life Award - ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა კარიერებზე" განხორციელება იწყება. პრეზენტაციას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძეც ესწრებოდა. კონკურსი ერთდროულად 17 ქვეყანაში ტარდება, მათ შორის საქართველოშიც. „ჰაიდელბერგცემენტი" მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საშენ-მასალათა მწარმოებელი კომპანიაა: „ჰაიდელბერგცემენტი" საქართველოში 2006 წლიდან საქმიანობს და ცხადია, საკუთარი წარმოებისთვის შესაბამისი ნედლეული სჭირდება. ცხადია, ჩვენი წარმოებისთვის კირქვის ნედლეული აუცილებელია, რისთვისაც ორ კარიერს ვამუშავებთ: კასპის რაიონში - კავთისხევის კარიერი და დედოფლისწყაროში," — აღნიშნეს პრეზენტაციაზე.

როგორც გაზეთ „შირაქს" კომპანიის მენეჯმენტიდან აცნობეს, საქართველოში ამ პროექტის ფარგლებში 3 კარიერი განიხილება: კავთისხევის კირქვის კარიერი (შიდა ქართლი), გარდაბანი თიხის კარიერი (ქვემო ქართლი), დედოფლისწყაროს კირქვის კარიერი (კახეთი). კარიერებზე ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობისათვის საპროექტო წინადადების/კონცეფციის წარმოდგენის ბოლო ვადა 2012 წლის 17 თებერვალია. პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იდეა 2 გვერდს უნდა მოიცავდეს. 2012 წლის 5 მარტს ეროვნული ჟიური შემოსული იდეებიდან, II ეტაპზე გადასასვლელად, 5 საუკეთესოს გამოავლენს.

კონკურსი კარიერებზე ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას ისახავს მიზნად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუდენტებსა და მკვლევარებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. კონკურსი ორი ეტაპისაგან შედგება:

I ეტაპი - იდეის წარდგენა: კონკურში მონაწილეობის მსურველები სპეციალურად ამ პროექტისთვის ვებ გვერდზე **www.quarrylifeaward.ge** დარეგისტრირდებიან და შეავსებენ პროექტში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის ფორმას.

II ეტაპი - პროექტის წარმოდგენა: 2012 წლის 5 მარტიდან 28 სექტემბრამდე 5 შერჩეული კანდიდატი პროექტის დასაწერად იმუშავებს. პროექტის მოსამზადებლად „ჰაიდელბერგცემენტი" მონაწილეებს ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობს 500 ევროს ოდენობით. საპროექტო წინადადება მაქსიმუმ 10 გვერდს უნდა მოიცავდეს. საბოლოო მოხსენებითი ანგარიში შერჩეულმა კანდიდატებმა 28 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ.

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲘᲜᲝᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲘᲧᲝ"

„ჰაიდელბერგცემენტის" ექსპერტთა ჟიურის, ეროვნული ჟიურის, ეროვნული ექსპერტთა ჯგუფის, ეროვნული ექსპერტთა ჯგუფის, ეროვნული ექსპერტთა ჯგუფ

ეროვნულ არქივში დავით აღმაშენებლის უნიკალური საბუთებია დაცული

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიუძღვნა მიმოხილვა იმ დოკუმენტების, რომელიც საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაშია დაცული და წმინდა მეფეს უკავშირდება.

ძველ საბუთთა განყოფილებაში ინახება საქართველოში დაცული, დღემდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მიერ გაცემული ორივე საბუთის დედანი - 1104-1118 წლების წყალობის წიგნი და შიომღვიმის მონასტრისადმი 1123 წლის ანდერძის ფრაგმენტი, ასევე, მე-18 საუკუნეში გადაწერილი პირი 1125 წლის ანდერძისა, რომელიც მეფემ სიკვდილის წინ დაწერა.

ეროვნულ საარქივო ფონდში ინახება, აგრეთვე, XV-XVII საუკუნეებში გაცემული რამდენიმე წყალობისა და შეწირულების განახლების წიგნი, რომლებშიც მოხსენიებულია დავით მეფის მიერ გაცემული სიგელები.

საინტერესოა, ასევე, ხელნაწერ წიგნთა კოლექციაში დაცული XVIII საუკუნის ხელნაწერი, რომელშიც გადაწერილია არსენ მონაზონის შესხმა (ქება) დავით აღმაშენებელისადმი რუის-ურბნისის კრების მოწვევის გამო, სადაც ,,უწესოდ" მოღვაწე ეპისკოპოსები ,,განსწავლა". ამის გამო კრების სახელით არსენ მონაზონმა მეფეს მადლობა გადაუხადა.

ნუსხა დავით აღმაშენებლის მიერ გაცემული საბუთებისა:

ფ. 1448 ძველ საბუთთა დედნების კოლექცია

1. 1123 წ. ანდერძი დავით აღმაშენებელისა შიო მღვიმის მონასტრისადმი. -უანდერძა ქართლში მდებარე რამდენიმე სოფელი, საეკლესიო ნივთები და სურსათი. ფრაგმენტი. ეტრატი. ზომა 26X28, ნუსხა-ხუცური. ფ.1448, საბ.№2120.

ანდერძის სრულ ტექსტს თავსა და ბოლოში ჰქონია დავით აღმაშენებელის მიერ მხედრული ხელით დაწერილი ხელრთვები, რომლის პალეოგრაფიული პირი გადაღებულია კალკაზე 1911 წელს სარგის კაკაბაძის მიერ (ფ.1449, საბ.№1477).

„[ქ. თავს]დებითა ღ(მრ)თისაითა მე, დ (ა ვ ი) თ ს მ(ი)წყი(ე)ს".

„ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე".

2. 1104-1118 წ.წ. გადასახადებისაგან გათავისუფლების სიგელი დავით აღმაშენებლისა ნიანია ნიანიასძისადმი. ეტრატი. ბოლონაკლული.

„აწ, გაგუიშუია ნიანია, მისითა მამულითა, ზითვად ნაქონები ვეძისხევითა, გაგუითავისუფლებია ყოვლისა გამოსავლისა და შესავლისა სახელმწიფოისა და სათხოვრისაგან და ყოვლისა..."

3. 1492-1497 წ.წ. სიგელი ქართლის კათალიკოსის აბრაამ II აბალაკისა, მცხეთის „საყდრის შვილებთან" ერთად დავით აღმაშენებლის მიერ სვეტიცხოვლისათვის შეწირული სოფელ ჯიმითის საზღვრების შემოწმებისა და დადგენის შესახებ. ერთერთ საზღვრად მოხსენებულია დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული ჭიაბრის ეკლესია. ზომა 27,7X16,8. ფ.1448, საბ.№2041.

„მე, პატრონი ქართლისა კ(ათალიკო)ზი და თავადნი, აზნაურიშვილნი და მცხეთისა საყდრიშვილნი, თანა მიახლნეს და ღვთივ გუირგუინოსნისა სანატრელისა დავით აღმაშენებლისა მეფეთამეფესაგან შემოწირულს მზღუარზედა დავიფიცეთ, თვით მე, პატრონი კ(ათალიკო)ზმან პატრონმან აბალაკმან ჯიმითის სამზღუარი... მივადექით ჭიაბრის ეკლესიას თანა იორამდის, დავით აღმაშენებელს ეკლესია სამზღურად ჩაუდგამს ..."

ფ. 1449 ძველ საბუთთა პირების კოლექცია

4. 1125 წ. ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა. თავნაკლული (აკლია ორი სტრიქონი). №546

თედო ჟორდანია, ,,ქრონიკების" II ტომში (1897 წელი) წერს: „ელისაბედ ზაალის ასულ თუმანოვის ხელნაწერებში ჩვენ ვიპოვეთ ქართველ წმიდათა ცხოვრება (მარტირიკა), XVIII საუკუნეში გადაწერილი (იოილ მესხიევის მიერ), რომელშიც გადამწერს შეუტანია წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის ანდერძი, სიკვდილის წინ დაწერილი".

სწორედ ამ ანდერძის ერთერთი პირი ინახება განყოფილებაში. დედანი დაკარგულია.

„,თქუენ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოისა მისისათა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და ყოველთა შეწყალებულთა..."

5. 1491 წ. ყმა-მამულის შეწირულების განახლების წიგნი იმერეთის მეფე ბაგრატისა მთის წმ. გიორგის ეკლესიისადმი. განუახლა დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული საეკლესიო ნივთები. №1565

„თქვენ წმიდაო გიორგი მთის მთავარმოწამეო, რა გვარადაც დავით აღმაშენებლისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო და ისევე ჩვენ მეფეთმეფემან... ბაგრატ... ვიგულისმოდგინეთ და ხელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად..."

6. 1658-1660 წ.წ. სახელოს (ციხისთავობის) და ყმა-მამულის წყალობის განახლების წიგნი იმერეთის მეფე ალექსანდრესი ციხისთავ იოვანე ომადმანიძესადმი. განუახლა დავით აღმაშენებლის მიერ მისი წინაპრებისათვის ნაწყალობევი ციხისთავობა, ვახანის ციხე, ქვაბი, მოლითი და სხვა. საბ.№49

„...ჩვენის ტომის დიდებულის ხელმწიფის კურთხეულის დავით აღმაშენებელის გუჯარი მოიტანეთ თქვენის ოჯახის დიდებულობის და განგიახლეთ და ჩვენც ხელი მოგიწერეთ..."

ფ. 1446 ქართულ ხელნაწერთა კოლექცია

7. XVIII ს. შესხმა დავით აღმაშენებელისა მღვიმის წინამძღვარ მონაზონ არსენისაგან. (იმერეთის მღვიმის მონასტერი). ნუსხური. ეს შესხმა დავითის თანამედროვე არსენმა დაწერა კრების სახელით.

მინაწერი მხედრულით - ,,ოდეს მეფეთმეფემან აღმაშენებელმან დავით კრება შეჰკრიბა ქართლით რუისსა და ურბნისს შუა რომ მინდორი არის იქ და რომელნიც უწესოდ მცხოვრებელნი ეპისკოპოსნი იყუნენ, ამერნი და იმერნი. ისინი კეთილად განსწავლა და უდაბნოებთა შინა დაადგინნა ... და მონასტერთა შინა მოღვაწეთა მეუდაბნოეთა მამათა მაღალ ღირსთა მოუწოდა და ესენი აკურთხნეს ეპისკოპოსად... და ამათ მაგიერ მოძღუარი მეფისა დავითის და წინამძღუარი მღუიმისა არსენი ამა ზემო ნაწერსა შესხმასა და მადლობას მოახსენებს მეფესა წმინდასა დავითს აღმაშენებელსა". ხელრთვა - იოანე მღვიმელი.

უგზოუკვლოდ დაკარგული ვანო მაჩაბელი 8 თებერვალს იყო დაბადებული

ივანე მაჩაბელი 1854 წლის 8 თებერვალს, სოფელ თამარაშენში, გიორგი მაჩაბლის ოჯახში დაიბადა. ბავშობა მან ამ სოფელში გაატარა. პირველად ლექსების წერა ივანეს 14-15 წლის ასაკში დაუწყია. რამდენიმე ხანში კი ივანე მაჩაბელი მიდის ცოდნის მისაღებად დედაქალაქში და სწავლას თბილისში გიმნაზიაში იწყებს.

ის გატაცებით ეწაფება ქართულ და რუსულ ლიტერატურას, ბეჯითად სწავლობს უცხო ენებს. გიმნაზიის კურსის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, უკვე 1871 წელს, მიემგზავრება პეტერბურგში. ივანე მაჩაბელი ამ დროს ბუნებისმეტყველებით იყო გატაცებული და სწორედ ამ დარგზე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მალე, ძმის ზეგავლენით, იგი დაინტერესდა იურიდიული მეცნიერებით და ეს ფაკულტეტიც დაამთავრა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ორ ფაკულტეტზე სწავლას ი. მაჩაბლისათვის ხელი არ შეუშლია, ცოდნა გაეღრმავებინა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. იგი გაუტაცნია პროგრესულ საზოგადოებრივ იდეებს. მაჩაბლის მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდენეს 60-70-იანი წლების რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებმა.

1873 წლის ზაფხულში, ბანკის საქმეების გამო, პეტერბურგში ჩავიდა ილია ჭავჭავაძე, სადაც შეხვედრია მაჩაბელს. ივანე მაჩაბელმა ილიას გაუზიარა თავისი განზრახვა და სთხოვა, ერთად ეთარგმნათ შექსპირი. 1873 წლის კრებულის მეათე ნომერში დაიბეჭდა მეფე ლირის პირველი მოქმედების თარგმანი. მაჩაბელი არ კმაყოფილდებოდა მიღებული განათლებით და კიდევ ახლის ძიებაში იყო. 1874 წლის ბოლოს, ის აგრონომიულ მეცნიერებათა შესწავლის მიზნით, ოპენჰაიმის აკადემიაში (შტუტგარტის მახლობლად) გაემგზავრა, სადაც ორი წელი დაჰყო. 1878 წელს მაჩაბელი საფრანგეთიდან პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ქართველ სტუდენტთა წრეში მოხსენებებს კითხულობდა ლიტერატურულ თემებზე. ერთი წლის შემდეგ იგი საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. 1883 წელს გაზეთ "დროების" რედაქტორი ხდება. მაგრამ 1885 წლის სექტემბერში, გაზეთი მთავრობის მიერ დაიხურა მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილების სისტემატურად ბეჭდვის გამო, გაზეთის რედაქტორი კი პასუხისგებაში მისცეს და სამუდამოდ აუკრძალეს რაიმე გამოცემის რედაქტორობა.

ივანე მაჩაბელი არაჩვეულებრივი პუბლიცისტი და მწერალი იყო, ასევე შესანიშნავად შეეძლო თარგმნა, მისი ნათარგმნი ნაწარმოებები გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით.

მძიმედ დასნეულებული ივანე მაჩაბელი 1898 წლის 26 ივნისს, გამთენიისას, შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დღემდე არავინ არ იცის, თუ სად და როგორ დაასრულა სიცოცხლე.

ივანე მაჩაბელი საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა, მსგავსი დონის მოღვაწე არა მარტო საქართველოს, მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებსაც თითზე ჩამოსათვლელი ჰყავთ.

ნაზი მოსაშვილი და ნანა ლეკაშვილი
იუწყებიან უახლოესი მეგობრის
ნელი ტერტეროვას
გარდაცვალებას და თანაგრძნობას
უცხადებენ გარდაცვლილის
დას — გულიკო ტერტეროვას,
დისშვილებს თემურ, მაია და თამრიკო
გედევანიშვილებს.

თინა ფავლენიშვილი
იუწყება უახლოესი
მეგობრის
ნელი ტეტეროვას
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 9
თებერვალს დაბა
მუხრანში.

ხსოვნა

შურა ბაღაშვილი-გონაშვილი



ერთი წელია, რაც უკვე ხანდაზმულმა, 95 წლის ასაკში, სამუდამოდ დატოვე ეს ქვეყანა და, სრულად ვალმოხდილი, მარადისობაში გადასახლდი. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე, ფეხზე იდექი და მზრუნველობას არ გვაკლებდი. მეორე მსოფლიო ომში მეუღლის დაკარგვის შემდეგ ცალუღლად დარჩენილმა ყველა ღონე იხმარე, დედისერთა ბიჭისათვის მამობაც გაგეწია და დედობაც, რისთვისაც უზომოდ მადლობელი ვარ, დედა. მთელი ცხოვრება მედიცინის რთულ საქმეს ემსახურებოდი – ხუთი ათეული წელი სოფელ ზემო მაჩხაანის ამბულატორიაში ბებია-ქალად მუშაობდი. ბევრი სახელოვანი მაჩხაანელი დაიბადა შენს ხელში, რაც მუდამ გეამაყებოდა. ხშირად, რამდენიმე დღის ღამენათევი, მაინც მხნედ იდექი ფეხზე შენი ოჯახის სიკეთისათვის. შენ გამიზარდე ორი შვილი – ირაკლი და გოჩა, მონაწილეობა მიიღე მათ დაოჯახებაში, მათი შვილების გაზრდაში და მეოთხე თაობასაც მოესწარი. იყავი თბილი ბებია, ამავდროულად მომთხოვნი და სამართლიანი. ამიტომ გვიყვარდი ყველას, ამიტომ დაგვწყდა გული შენთან განშორებისას. 13 თებერვალს ერთი წელი გავა შენი გარდაცვალებიდან. ჩვენ, შენი დიდი ოჯახის წევრები, კვლავ შევიკრიბებით, მოვალთ შენს საფლავზე და გამოვხატავთ ჩვენს მადლიერებას შენი ამაგის გამო. მუდამ გვემახსოვრები, ჩვენო დიდო დედა! იძინე მშვიდად, ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს.

შენი შვილი
ფერდინანდ გონაშვილი.

„ნიჭიერის“ შემდეგი ეტაპიც წარმატებით გადალახეს

დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებმა პროექტ „ნიჭიერის“ მორიგი ტური კვლავაც წარმატებით გადალახეს. გადაღებები 5 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში გაიმართა. მოცეკვავეები ფართო აუდიტორიის წინაშე დედოფლისწყაროს სახელით გამოვიდნენ.

მათ ჟიურის წინაშე 2,5 წუთი ხანგრძლივობის ნომერი შეასრულეს. სცენაზე გატანილი იყო ცეკვა „მთიულური“ რომელიც 25 ბავშვმა შეასრულა.

ჟიურის რეაქციებსა და შეფასებებზე გაზეთი „შირაქი“ ანსამბლის წევრებს ესაუბრა:

„დილის ათი საათიდან სხვადასხვა სახის სარეკლამო გადაღებებზე ვიყავით, ყველა მონაწილეს ცალკ-ცალკე იღებდნენ. ეს ტური წარმატებით დავძლიეთ და საბოლოო ჯამში ჟიურის სამივე წევრის „კი“ მივიღეთ. გეგას და სოფოს დადებითი კომენტარის შემდეგ ბოლო და გადამწყვეტი სიტყვა ვანო ჯავახიშვილმა თქვა და დაამატა — „ამ ჟანრში ძალიან ბევრი მოღვაწეობს, მაგრამ თქვენ შეძელით, განსაკუთრებულები ყოფილიყავით. ოთხი „კი“ გაქვთ დარბაზის ჩათვლით, რადგან მთელი დარბაზი ფეხზე დგასო“. სოფო ნიჟარაძემ აღნიშნა — „ძალიან მოკლე დროში შეძელით შესაძლებლობების საუკეთესოდ წარმოჩენაო“... იყო სიხარულის ყიჟინაც და ინტერვიუები. როგორც გვითხრეს, ეს პროექტი „რუსთავი 2”-ის ეთერში მარტში გავა,“ — აღნიშნავს ანსამბლ „შირაქის“ ხელმძღვანელი ალექსი გაბრიელაშვილი.

პატარა მოცეკვავეები მომავალ ტურში ახალ ნომერს წარმოადგენენ, შემდეგ კი იმ ტურიდან ჟიური ფინალისტებს შეარჩევს. ანსამბლის ხელმძღვანელს მომდევნო ნომერი ამ ეტაპზე შერჩეული არ აქვს. ანსამბლში ვარაუდობენ, რომ სამომავლოდ ფარიკაობას მოამზადებენ, ოღონდ განსხვავებულად დადგმულს.

ანსამბლ „შირაქის“ „ნიჭიერში“ წარმატებულად მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად ჩვენმა გაზეთმა გაავრცელა. ქართულ ტელესივრცეში „ნიჭიერი“ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და სახალხო პროექტად რჩება.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ედგარ ბარიხაშვილს! დავით ზოროღლიანს!

საყვარელო შვილო ედგარ და ჩემო პატარა შვილიშვილო დათუნა, ორივეს გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, იყავით ბედნიერები, უფლის კალთა გფარავდეთ მუდამ.

დათუნა, შენ 2 წლის ხდები. ედგარ, შენ კი უკვე 21 წელი შეგისრულდა. ამიტომ, ძალიან მინდა, ვნახო შენი მეუღლე და გავიხარო შენი ოჯახის შექმნით.

პატივისცემით, შენი დედიკო: ანჟელა ბარიხაშვილი.

კაკო მაჩაბლიშვილს!

ჩვენთვის ყველაზე ძვირფასო ადამიანო და ჩვენო დიდო იმედო, გილოცავთ დაბადების დღეს! დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ. იყავი ბედნიერი ჩვენთან ერთად, გაიხარე და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

სიყვარულით: მეუღლე მანანა ბოსტოღანაშვილი, მშობლები: ზურაბი და ნორა, შვილები: ნონა და ზურიკო, დები: გულიკო და ეთერ მაჩაბლიშვილები. სიძე მიშიკო, შვილიშვილები; ტარიელ და მარიამ კუპატაძეები.

იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 595 97 99 01. იკითხეთ ლია.

განმარტება

გაზეთ „შირაქის“ 27 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „ტრაგიკული შემთხვევები“, მეოთხე სვეტის მესამე აბზაცში საუბარია საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულ პირად მოხსენიებულია 20 წლის ახალგაზრდა გიორგი ბაიდოშვილი. აღნიშნული მასალა დაბეჭდილია თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზზე დაყრდნობით.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ სახელისა და გვარის მსგავსების გამო გაიპარა შეცდომა და ქალაქ დედოფლისწყაროში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ გიორგი ბაიდოშვილს ამ დანაშაულთან კავშირი არა აქვს.

რედაქცია ბოდიშს იხდის გაპარული შეუსაბამობისთვის.

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას დედოფლისწყაროს სერვისცენტრში ადმინისტრატორის თანამდებობაზე

ძირითადი მოვალეობები:

- დადგენილი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად სერვისცენტრში შემოსული მომხმარებლებისათვის კონსულტაციის გაწევა, მათი სწორი გადამისამართება, გადაადგილების კოორდინაცია;
- მომხმარებლების რიგების მართვა, რიგების მომწესრიგებელი აპარატის საშუალებით მომხმარებლების დაკვალიანება;
- უსაფრთხოების მოთხოვნებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება, შესაბამისი რეაგირება.

სავალდებულო მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკის, საბანკო სფეროს, მარკეტინგის, ტექნიკური საგნების მიმართულებით.
- სამუშაო გამოცდილება: სასურველია მომსახურების და/ან გაყიდვების სფეროში მუშაობის მინ. 6 თვიანი გამოცდილება.

კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

ენების ცოდნა: ქართული — თავისუფლად, სასურველია, მაგრამ არასავალდებულო რუსული და ინგლისური ენების ცოდნა;
მომხმარებლების მომსახურების უნარ— ჩვევები (თავაზიანობა, მომხმარებლების დახმარების მზაობის და ყურადღების გამოხატვა, სწორი გადამისამართება);
დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
გამოხატული ყურადღება დეტალების მიმართ;
სიზუსტე და კარგი მეხსიერება;
სხარტი, ლოგიკური აზროვნება, ინტუიცია;
დაძაბულ, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
ემოციური წონასწორობა;
ორგანიზებულობა;
კოლეგიალურობა;
საქმიანი და კონფიდენციალური სამუშაო გარემოს შექმნის უნარი.

სააპლიკაციო პროცედურა:

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს “საქართველოს ბანკის” სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, საქართველოს ბანკის თელავის ფილიალი; ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, საქართველოს ბანკის გურჯაანის ფილიალი; ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ 15, საქართველოს ბანკის სიღნაღის ფილიალი; ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, საქართველოს ბანკის ყვარლის ფილიალი; ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, საქართველოს ბანკის საგარეჯოს ფილიალი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge (გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მონაცემები არ განიხილება).

მონაცემების დატოვება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, სს “საქართველოს ბანკის” თელავის სერვისცენტრი
ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, სს “საქართველოს ბანკის” გურჯაანის სერვისცენტრი
ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ. 15, სს “საქართველოს ბანკის” სიღნაღის სერვისცენტრი
ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, სს “საქართველოს ბანკის” ყვარელის სერვისცენტრი
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, სს “საქართველოს ბანკის” საგარეჯოს სერვისცენტრი

სააპლიკაციო ფორმების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 16 თებერვალი.
გისურვებთ წარმატებას!

ამინდი — დედოფლისწყარო

	შაბათი 11.02	კვირა 12.02	ორშაბათი 13.02	სამშაბათი 14.02	ოთხშაბათი 15.02	ხუთშაბათი 16.02	პარასკევი 17.02
დღე	−3°	−4°	−9°	−6°	−2°	0°	−2°
ღამე	−4°	−8°	−10°	−7°	−3°	−3°	−3°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართია: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 8 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K